# დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა 1113

## ფაქტობრივი გარემოებები

საწარმოს საბაჟო საწყობში შედის როგორც დატვირთული, ასევე ცარიელი სატრანსპორტო საშუალებები. საწარმო საბაჟო საწყობში დგომის ღირებულებას ბეგრავს დღგ-ის 0%-იანი განაკვეთით, რამდენადაც თვლის, რომ ეწევა საერთაშორისო გადაზიდვასთან დაკავშირებულ მომსახურებას

**ვარიანტი 1:**
სატრანსპორტო საშუალება, როგორც საქონელი არ არის განკუთვნილი იმპორტისათვის, ასევე არ არის მოქცეული ექსპორტისა და ტრანზიტის რეჟიმში

**ვარიანტი 2:**
სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებული ტვირთი არ არის განკუთვნილი იმპორტისათვის, ასევე არ არის მოქცეული ექსპორტისა და ტრანზიტის რეჟიმში

**ვარიანტი 3:**
სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებული ტვირთი მოქცეულია ექსპორტის/ტრანზიტის რეჟიმში

**ვარიანტი 4:**
სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებული ტვირთი განკუთვნილია იმპორტისათვის

## შეფასება

სსკ–ის 233–ე მუხლის მიხედვით, დღგ–ის ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრა გათვალისწინებულია მხოლოდ ტრანსპორტირებისათვის (საერთაშორისო გადაზიდვისათვის) განკუთვნილი ტვირთის შენახვის, შეფუთვის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის მომსახურებისათვის

პირველ, მე–2 და მე–4 ვარიანტებში, მომსახურება ექვემდებარებოდა დღგ–ის 18%–ით დაბეგვრას.

შემცირებულია საწარმოს მიერ დღგ-ს 18 %-იანი განაკვეთით დასაბეგრი ბრუნვა

## ღონისძიებები

პირველ, მე–2 და მე–4 ვარიანტებში, საწარმოს დამატებით დაერიცხება დღგ-ის ძირითადი გადასახადი

საწარმო დაჯარიმდება დეკლარაციაში თანხის შემცირებისათვის (სსკ-ის 132-ე მუხლი)